ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 26.02.10 სხდომის

ოქმი №2

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 79 წევრთაგან 32.

დღის წესრიგი:

1. სავალდებულო ინგლისური ენის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ

   მომხსენებელი: ნ. ჯავახიშვილი
2. კურიკულუმში ცვლილებების შესახებ

   მომხსენებელი: ნ. ჯავახიშვილი
3. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. სავალდებულო ინგლისური ენის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ ისაუბრა ნ. ჯავახიშვილმა, რომელმაც თქვა რომ ყველა დონის ინგლისურის არჩევის შესაძლებლობა უნდა იყოს ნებისმიერ სემესტრში, რათა სტუდენტს ერთი რომელიმე დონის გაუვლელობის შემთხვევაში არ დაეკარგოს მთელი სასწავლო წელი.

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ზ. დავითაშვილმა, ნ. ბელქანიამ.

დაადგინეს: ეთხოვოს ენების ცენტრის ხელმძღვანელობას, გაითვალისწინონ სავალდებულო ინგლისური ენის არჩევასთან დაკავშირებული პრობლემები და

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ ენის ნებისმიერი დონის არჩევა ორივე სემესტრში.

მოისმინეს: 2. კურიკულუმში ცვლილებების შესახებ მომხსენებელმა ნ. ჯავახიშვილმა დამსწრეთ გააცნო რექტორის № ბრძანების შესაბამისად ლექცია, სემინარისა და ლაბორატორიული მეცადინეობების განმარტება, მათში სტუდენტთა მინიმალური სავალდებულო რაოდენობის გათვალისწინებით.

ასევე ნ. ჯავახიშვილმა დასვა საკითხი დამტკიცებულ სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: შ. აბზიანიძემ, ნ. ბელქანიამ, ი. სალუქვაძემ, მ. მაცაბერიძემ, ნ. მაჭარაშვილმა გ. მაღრაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: 1) მცირეოდენი შესწორებებით მიღებულ იქნას ლექციისა და სემინარის განმარტებები, და ფაკულტეტზე ლაბორატორიული მეცადინეობების არარსებობის გამო დაემატოს უკვე დამკვიდრებული პრაქტიკული მეცადინეობის განმარტება.

2) შეტანილ იქნას ცვლილებები რამდენიმე სამაგისტრო პროგრამაში, მაგრამ შეიქმნას მკაფიოდ გაწერილი დოკუმენტი ცვლილებების აუცილებლობასთან და პროგრამებში უცხოელების ჩართვის მექანიზმთან დაკავშირებით.

მოისმინეს: 3. მიმდინარე საკითხებში:

1. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ბელქანიამ დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების განცხადების ტექსტი, რომელიც 1 მარტს ფაკულტეტის საბჭოს სახელით დაიდება თსუ ვებ გვერდზე.
2. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სადიპლომო კომისია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – ზ. დავითაშვილი, წევრები - ა. რონდელი, მ. მაცაბერიძე, ს. კაპანაძე.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი ნ. ბელქანია

სხდომის მდივანი: ასისტენტ პროფესორი თ. დოლბაია

2 ნოემბერი, 2010წ.

ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სია

ფსიქოლოგიის მიმართულება

1. ბელქანია ნოდარ
2. გაგოშიძე თამარ
3. მაღრაძე გუგული
4. ჩიტაშვილი მარინე
5. წერეთელი მზია
6. ჯავახიშვილი ნინო
7. აბაშიძე თამარ
8. აბზიანიძე შალვა
9. არუთინოვა ლუიზა
10. კუტალაძე ია
11. მელიქიშვილი მანანა
12. ნადირაშვილი დიმიტრი
13. ქიტიაშვილი ანასტასია
14. ყიფიანი გიორგი
15. ჯორბენაძე რევაზ
16. ბაინდურაშვილი ნუგზარ
17. გოროშიძე გიორგი
18. დესპოტაშვილი მედეა
19. კვანჭილაშილი ელენე
20. მამუკაძე შორენა
21. ფირცხალავა ეკატერინე

პოლიტიკური მეცნიერება

1. მაცაბერიძე მალხაზ
2. აბესაძე გურამ
3. კუხიანიძე ალექსანდრე
4. მაჭარაშვილი ნანა
5. ჟორჟოლიანი გია
6. აბაშიძე ზვიად
7. დოლიძე ვალერიან
8. დუნდუა სალომე

საერთაშორისო ურთიერთობები

1. დავითაშვილი ზურაბ
2. რონდელი ალექსანდრე
3. კაპანაძე სერგი

საზოგადოებრივი გეოგრაფია

1. გოგსაძე გიორგი
2. სალუქვაძე იოსებ
3. ბოკერია მარინა
4. მელიქიძე ვალერიან
5. პავლიაშვილი ნინო
6. დოლბაია თამარ
7. კვინიკაძე გიორგი
8. ხუტაშვილი მარი

სოციოლოგია

1. კაჭკაჭიშვილი იაგო
2. ბერძენიშვილი ამირან
3. დურგლიშვილი ნინო
4. სურმანიძე ლალი
5. წულაძე ლია
6. დონაძე ნათელა
7. ბურძენიძე მარინა

ჟურნალისტიკა

1. ვაშაყმაძე მარინა
2. იბერი ელდარ
3. ოსეფაშვილი დალი
4. ჩართოლანი გიორგი
5. წერეთელი მარი
6. კაჭარავა ხათუნა
7. ლომიძე ელზა
8. ლომიძე მარინე
9. ტორაძე მაია
10. ღვინერია ირინა
11. ჩარკვიანი ხათუნა
12. ჭალაგანიძე ნინო

სტუდენტური თვითმმართველობა

1. ალიმბარაშვილი ნანი
2. ბარამიძე ნინო
3. ბეჟანიშვილი ანა
4. გოგსაძე საბა
5. დარბაიძე ი.
6. ერაგია ბაქარ
7. ზარნაძე ი.
8. თარხნიშვილი თინათინ
9. თორია ლევან
10. კობახიძე ნიკოლოზ
11. კურდღელაშვილი ანა
12. კუჭუხიძე ვასილ
13. ლავრელაშვილი თეონა
14. მურღულია ცოტნე
15. ნახუცრიშვილი კონსტანტინე
16. ტარასაშვილი მარიამ
17. ცქიტიშვილი თამარ
18. წერეთელი ელენე
19. ჭანტურია გიორგი

ლექცია

პროფესორი სტუდენტებს უხსნის მასალას და იხილავს მას. სასურველია, რომ მასალის გადაცემის პროცესი იყოს ინტერაქტიური, ანუ სტუდენტები მაქსიმალურად იყვნენ ჩართული საკითხების განხილვის პროცესში. სტუდენტები კითხულობენ ლიტერატურას და როდესაც ისინი მომზადებული მიდიან ლექციაზე, ადვილად ერთვებიან ერთმანეთთან და პროფესორთან დისკუსიაში.

სემინარი

აქ, ისევე, როგოროც ლექციის დროს, პროფესორი სტუდენტებს უხსნის მასალას, ოღონდ, ამგვარ საქმიანობას ბევრად ნაკლები დრო ეთმობა. სამაგიეროდ, ბევრად მეტი დრო ეთმობა სტუდენტებს, რომლებიც წაკითხულ ლიტერატურას ამზადებენ ზეპირი პრეზენტაციის სახით (სასურველია, წერილობითი პრეზენტაციაც იყოს) და თითეულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ ინდივიდუალურად გააკეთოს პრეზენტაცია. შესაბამისად, ამგვარ ჯგუფებში სტუდენტების რაოდნეობა ბევრად ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე ლექციაზე.

ლაბორატორიული/პრაქტიკუმი

აქ აქცენტი კეთდება პრაქტიკულ მუშაობაზე, რომელიც, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს რეპორტაჟის გაკეთება, ინტერვიუს აღება, დაკვირვების ჩატარება და სხვ. აქაც, ისევე, როგორც სემინარზე, თითეულ სტუდენტს უნდა მიეცეს საშუალება, რომ წამროადგინოს თავისი შრომის შედეგები, რათა მთელმა ჯგუფმა განიხილოს ისინი და უკუკავშირი მიაწოდოს მას. შესაბამისად, ამგვარ ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობა ბევრად ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე ლექციაზე და ოდნავ ნაკლები, ვიდრე სემინარზე.